



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სადისერტაციო საბჭო

**რეცენზირებისათვის ნაშრომის (დისერტაციის, ავტორეზიუმეს, შემოკლებული
პროფიქტის) წარმოდგენისა და შეფასების წესი**

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 30.04.2011. ოქმი N9

ცვლილებები დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს მიერ

19. 12. 2020, ოქმი № 12

I. სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეზიუმეს წარდგენა

1. დოქტორანტი ვალდებულია სადისერტაციო ნაშრომი და ავტორეზიუმე წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს სადისერტაციო საბჭოს დებულებაში მუხლი 23-ის შესაბამისად.
2. დისერტაციის დაცვის დღის დანიშვნის შემდგომ, დაცვამდე, დოქტორანტი ვალდებულია მიაწოდოს ავტორეზიუმე (ბეჭდური ან ელექტრონული ვარიანტი) და დისერტაციის ელექტრონული ვარიანტი სადისერტაციო კომისიის წევრებს.

II. ავტორეზიუმეს შეფასება (საერთაშორისო ექსპერტიზა)

1. საერთაშორისო ექსპერტიზისთვის დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ავტორეზიუმე ეგზავნება უცხოელ ექსპერტს. ექსპერტის ვინაობას განსაზღვრავს პროგრამის / დისერტაციის ხელმძღვანელი, დარგობრივ სექციასთან შეთანხმებით, ხოლო მასთან კომუნიკაციას აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

2. საშემსრულებლო მიმართულებაზე ავტორეფერატთან ერთად საერთაშორისო ექსპერტს ელექტრონულად ეგზავნება პრაქტიკული ნამუშევრის (შემოქმედებითი პროდუქტის) ვიდეო/აუდიო ჩანაწერი.
3. საერთაშორისო ექსპერტის შეფასება აისახება საექსპერტო დასკვნაში, რომელიც დაცვისთვის სადისერტაციო საბჭოს კომისიის წინაშე წარსადგენად, უნდა ითარგმნოს ქართულად.
4. ავტორეფერატის საერთაშორისო ექსპერტიზას უთანაბრდება სადისერტაციო ნაშრომის თემაზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის საერთაშორისო სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებული სტატია.

III. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება რეცენზენტის მიერ

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭო გამოყოფს ორ რეცენზენტს სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად, ხოლო საშემსრულებლო მიმართულებისთვის დისერტაციის (თეორიული ნაწილის და შემოქმედებითი პროდუქტის) ერთობლივად შესაფასებლად, სადისერტაციო საბჭოს დებულების თანახმად.

2. წერილობით შეფასებას (რეცენზიას) რეცენზენტი წარმოადგენს ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

4. რეცენზია დასკვნით ნაწილში უნდა შეიცავდეს მოცემული სამი პუნქტიდან ერთ-ერთ რეკომენდაციას:

- ა) რეკომენდაცია ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესახებ;
- ბ) რეკომენდაცია დაცვაზე პირობითი დაშვების შესახებ, რაც გულისხმობს დოქტორანტისათვის ნაშრომის უკან დაბრუნების, დროის მიცემას და უხეში შეცდომების შესწორების შემდეგ, დაცვაზე დაშვებას;
- გ) დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

რეკომენდაცია რეცენზენტმა უნდა ასახოს დისერტაციის შეფასების უწყისშიც (დანართი 1).

3. რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემდგომ პროცედურებს არეგულირებს სადისერტაციო საბჭოს დებულება.

IV პლაგიატის შემთხვევა

1. დარგობრივი სექციის მიერ დანიშნული ექსპერტი და ასევე სადისერტაციო საბჭოს მიერ დანიშნული რეცენზენტები ვალდებულები არიან გამოააშკარონ პლაგიატი, ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, როგორც თეორიულ ნაშრომში, ასევე შემოქმედებით პროდუქტში.
2. პლაგიატი გამოიხატება სხვისი თხზულების ან იდეის გამოყენებაში საკუთარი სახელით, ასევე სხვისი თხზულების ფრაგმენტების სესხებაში, წყაროს მითითების გარეშე. პლაგიატის აუცილებელი ნიშანია ავტორობის მითვისება.
3. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში რეცენზენტი/ექსპერტი ვალდებულია აცნობოს სადისერტაციო საბჭოს (დარგობრივ საქციას) და მას წარუდგინოს პლაგიატის არსებობის დასაბუთება წერილობითი ფორმით.
4. სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საკითხის განხილვის ფორმისა (საბჭოზე მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღება, კომისიის შექმნა, სექციისთვის მიმართვა და ა.შ.) და შესაბამისი რეაგირების თაობაზე.
5. დარგობრივი სექციის ექსპერტის მიერ პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სექცია.

V. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება სადისერტაციო კომისიის მიერ

1. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება საჯარო დაცვის დასრულებისთანავე, სადისერტაციო საბჭოს დახურულ სხდომაზე. კომისიის თითოეული წევრი აფასებს სადისერტაციო ნაშრომს ქულობრივად, წინამდებარე წესში მოცემული კრიტერიუმების თანახმად. დისერტაციის შეფასების საბოლოო ქულა დგინდება კომისიის წევრთა შეფასების საშუალო არითმეტიკულით.
2. სადისერტაციო კომისიის მუშაობა და საბოლოო შეფასება აისახება დაცვის ოქმში.

3. საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემის მიხედვით:

- 91-100 - ფრიადი – summa cum laude;
- 81-90 - ძალიან კარგი – magna cum laude;
- 71-80 - კარგი – cum laude;
- 61-70 - საშუალო – bene;
- 51- 60 - დამაკმაყოფილებელი – rite;

- 41- 50 - არადამაკმაყოფილებელი –insufficienter;
 - 0-40 - სრულიად არადამაკმაყოფილებელი – sum omni canone.
4. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას აცნობს ზეპირად.
 5. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება იქნება „არადამაკმაყოფილებელი“ ან „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“.
 6. დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხი.

VI. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

სადისერტაციო ნაშრომის ქულობრივი შეფასება ასახულია შესაბამის უწყისებში, რომლებიც წარმოდგენილია წინამდებარე წესის დანართების სახით.

ტიქნიკური მხარე:

1. სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა

მოწოდება:

- ნაშრომის სათანადო ტექნიკური აპარატით აღჭურვა;
- ციტირების წესის დაცვა;
- ბიბლიოგრაფიის წარმოდგენის ტექნიკური გამართულობა;
- დანართების, სქემების, ილუსტრაციების და სხვა მასალების მოწოდების გამართულობა (დასახელების, ნუმერაციის და სხვა აუცილებელი მონაცემების არსებობა).

2. სტრუქტურის გამართულობა

მოწოდება:

- ნაშრომის მკაფიო და თვალსაჩინო სტრუქტურირება, რომელიც კვლევის ამოცანებს, პროცესსა და შედეგებს ცხადად გამოკვეთს;
- ნაშრომის სტრუქტურის სარჩევში თუ თანდართულ განმარტებებში ასახვა.

3. ენობრივი და სტილისტური გამართულობა

მოწოდება:

- ენობრივი გამართულობა;
- სამეცნიერო ენის ერთიანი სტილის დაცვა;

- ტერმინოლოგიის სიზუსტე, ლოგიკური და ცნებითი აპარატის ადეკვატურობა და დარგის სპეციფიკასთან შესაბამისობა.

შინაარსობრივი მხარე:

1. პრობლემის აქტუალობა

მოწმდება:

- ნაშრომში წამოჭრილი სამეცნიერო პრობლემის აქტუალობა;
- დარგში არსებული პრობლემის დიაგნოსტიკა და მისი აქტუალობის სათანადო დასაბუთებულობა.

2. კვლევის სიახლე

მოწმდება:

- საკვლევი ობიექტის / მიდგომის / მეთოდოლოგიის სიახლე;
- ახალი სამეცნიერო ცოდნის შექმნა/შეტანა დარგში/სფეროში;
- კვლევის შემდგომი განვითარების პერსპექტივის შესაძლებლობა.

3. კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე

მოწმდება:

- შერჩეული სამეცნიერო მეთოდის/მეთოდების შესაბამისობა საკვლევ თემასთან;
- კვლევის მეთოდის/მეთოდების გააზრებული გამოყენება.

4. განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და

დასაბუთებულობა მოწმდება:

- მოძიებული მასალის შესაბამისობა საკვლევ თემასთან და მისი მრავალფეროვნება;
- ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი;
- დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი;
- ძირითად საკვლევ თემაზე ნაშრომის კონცენტრირებულობის ხარისხი;
- ნაშრომის ნაწილებს შორის ლოგიკური კავშირის ხარისხი;
- დასმული საკითხისა და არსებული მასალის სიღრმისეული შესწავლის ხარისხი;

5. კვლევის შედეგის (დასკვნის) არგუმენტირებულობა

მოწმდება:

- საკმარისია თუ არა ახალი მონაცემები დისერტაციაში წარმოდგენილი დასკვნებისათვის;
- საკმარისად ასახულია თუ არა კვლევის პროცესში მიღებული მონაცემები დასკვნაში;
- გამყარებულია თუ არა ავტორის პოზიცია ნათელი და სარწმუნო მონაცემებით.

6. გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე

მოწმდება:

- გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობა საკვლე თემასთან;

- გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება;
- ნაშრომის თემატიკის შესაბამისი საბაზისო აკადემიური კვლევების წარმოდგენისა და გააზრების ხარისხი;
- ნაშრომის თემატიკის შესაბამისი უახლესი კვლევების გამოყენება.

დაცვა-პრეზენტაცია:

1. დისერტანტის გამოსვლის გამართულობა და პრეზენტაბელურობა.

მოწმდება:

- დისერტანტის გამოსვლაში ნაშრომის წარდგენის ხარისხი: ნაშრომის მიზნების, შერჩეული მეთოდის, პროცესის, მიღებული დასკვნების და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხების ლოგიკურად, არგუმენტირებულად, ლაკონურად და გამართულად წარმოჩენა;
- წარმოდგენილი პრეზენტაციისა და ვიზუალური მასალის ნაშრომის თემასთან შესაბამისობა, აქცენტების ლოგიკურობა და გამართულობა.

2. კითხვებზე პასუხის გაცემის ლოგიკურობა, დასაბუთებულობა და აკადემიურობის დაცვა

მოწმდება:

- რეცენზენტების, ექსპერტების, სადისერტაციო კომისიის წევრების შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხების გაცემის ლოგიკურობა, არგუმენტირებულობა, ლაკონურობა და ადეკვატურობა.
- აკადემიურობის დაცვა - პასუხების გაცემისას სამეცნიერო დებატების სტანდარტების და ეთიკური ნორმების დაცვა.

VII. სადისერტაციო ნაშრომის შინაგონიერების (პრაქტიკული ნამუშევრის) შეფასების კრიტერიუმები

იდეურ-თემატური მხარე:

მოწმდება:

- იდეის სიცხადე – ერთიანი ნაწარმოების მიერ გამოხატული ძირითადი საზრისის, ზოგადი სათქმელის სიცხადე;
- თემის აქტუალურობა – ნაწარმოებში ასახული თემის მნიშვნელობა მხატვრულსა და/ან სოციო-ჰუმანიტარულ ჭრილში;
- კონცეფციის ორიგინალურობა – თემისა და იდეის მხატვრული ხედვის, განვითარებისა და გადმოცემის ინდივიდუალურობა.

მხატვრული მხარე:

მოწმდება:

- **მხატვრული ფორმის გადაწყვეტა და სიახლე** (ქორეოგრაფიული მიმართულებით: ცეკვის ნახაზი და საცეკვაო ლექსიკა) – ნაწარმოების ფორმალური - კომპოზიციური, სტილისტური, ჟანრობრივი, სტრუქტურული, ენობრივი და შინაარსობრივ-ფორმალური (სიუჟეტი, კონფლიქტი) მხარის კონცეპტუალური გარკვეულობა და შინაარსის, სათქმელის გადმოცემის ფორმალური და ენობრივი ორიგინალურობა;
- **ვიზუალური მხარე** (სცენოგრაფია, კოსტიუმი, განათება და ა.შ.) - ნაწარმოების გამომსახველობის ვიზუალური რიგის ენობრივ-სტილისტური გამართულობა;
- **აუდიო მხარე** (მუსიკალური გაფორმება, ხმოვანება და ა.შ.) – ნაწარმოების მუსიკალურ-ხმოვანი გამომსახველობის სტრუქტურული და მხატვრულ-ენობრივი გამართულობა;
- **საშემსრულებლო ოსტატობა** (მსახიობთან, მოცეკვავესთან, რესპონდენტთან მუშაობა) – დარგის მხატვრული, ენობრივ-სტილისტური, შემოქმედებითი და ტექნიკური საფუძვლების პროფესიული ფლობა; შემოქმედებით-პედაგოგიური მუშაობის პრინციპებისა და მეთოდების ფლობა, რომლებსაც სტუდენტის მხატვრული დაოსტატების სათანადო რეზულტატი მოჰყვება.

პრაქტიკული ნამუშევრის თეორიულ ნაშრომთან არსებითი შესაბამისობა;

მოწმდება:

- დისერტაციის თეორიულ ნაწილსა და მის პრაქტიკულ შემაღენელს შორის არსებული გააზრებული, ურთიერთშემავსებელი და ორგანული აზრობრივ-კონცეპტუალური კავშირი.

VIII. შედეგების ბაცნობა

1. ნაშრომის შეფასების შედეგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დოქტორანტს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, დარგობრივი სექციის თავმჯდომარეს და წევრებს.
2. ნაშრომი და ნაშრომის შეფასება არ არის ხელმისაწვდომი საჯაროდ, სადისერტაციო საბჭოს მიერ დაცვის დანიშვნამდე, გარდა ამ თავის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისა.



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სადისერტაციო საბჭო

დისერტაციის წინასწარი შეფასების უწყისი (რეცენზენტის შეფასება)

ავტორის სახელი, გვარი -

ნაშრომის სახელწოდება -

№	შეფასების სახე	შეფასების მონიშვნა	დისერტაციის შესწორების მიზანშეწონილი ვადის მითითება (ეხება #2 შეფასებას)
1	ა) რეკომენდაცია ნაშრომის დაცვაზე დაშვების შესახებ		
2	ბ) რეკომენდაცია დაცვაზე პირობითი დაშვების შესახებ, რაც გულისხმობს დოქტორანტიანის ნაშრომის უკან დაბრუნების, დროის მიცემას და უხეში შეცდომების შესწორების შემდეგ, დაცვაზე დაშვებას		
3	გ) დაცვაზე უარის თქმის შესახებ		

თარიღი –

ხელმოწერა –



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სადისერტაციო საბჭო

დისერტაციის საბოლოო შეფასების უწყისი (სადისერტაციო კომისიის შეფასება)

თეორიული დარგებისთვის

ავტორის სახელი, გვარი –
ნაშრომის სათაური –

№	კრიტერიუმები	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება
I. ტექნიკური მხარე		20 ქულა	
1	სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა	5	
2	სტრუქტურის გამართულობა	10	
3	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	5	
II. შინაარსობრივი მხარე		60 ქულა	
1	პრობლემის აქტუალობა	5	
2	კვლევის სიახლე	10	
3	კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე	10	
4	განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და დასაბუთებულობა	15	
5	კვლევის შედეგის (დასკვნის) არგუმენტირებულობა	15	
6	გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე	5	
III. დაცვა – პრეზენტაცია		20 ქულა	
1	დისერტანტის გამოსვლის გამართულობა და პრეზენტაბელურობა	10	
2	კითხვებზე პასუხის გაცემის ლოგიკურობა, დასაბუთებულობა და აკადემიურობის დაცვა	10	
	ს უ ლ	100 ქულა	

თარიღი –

ხელმოწერა –



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სადისერტაციო საბჭო

**დისერტაციის საბოლოო შეფასების უწყისი
(სადისერტაციო კომისიის შეფასება)
საშემსრულებლო მიმართულებისთვის**

ავტორის სახელი, გვარი –

ნაშრომის სათაური –

№	კრიტერიუმები	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება
თ ე ო რ ი უ ლ ი ნ ა შ რ ო მ ი			
I. ტექნიკური მხარე		15 ქულა	
1	სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა	5	
2	სტრუქტურის გამართულობა	5	
3	ენობრივი და სტილისტური გამართულობა	5	
II. შინაარსობრივი მხარე		30 ქულა	
1	პრობლემის აქტუალობა	4	
2	კვლევის სიახლე	4	
3	კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე	4	
4	განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და დასაბუთებულობა	7	
5	კვლევის შედეგის (დასკვნის) არგუმენტირებულობა	7	
6	გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე	4	
პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ნ ა მ უ შ ე ვ ა რ ი			
I. იდეურ-თემატური მხარე		15 ქულა	
1	იდეის სიცხადე	5	
2	თემის აქტუალობა	5	
3	კონცეფციის ორიგინალობა	5	
II. მხატვრული მხარე		15 ქულა	
1	მხატვრული ფორმის გადაწყვეტა და სიახლე (ქორეოგრაფიული მიმართულებით: ცეკვის ნახაზი - 2 ქულა, საცეკვაო ლექსიკა - 3 ქულა)	5	
2	ვიზუალური მხარე (სცენოგრაფია, კოსტიუმი, განათება და ა.შ.)	3	
3	აუდიო მხარე (მუსიკალური გაფორმება, სმოვანება და ა.შ.)	3	
4	საშემსრულებლო ოსტატობა (მსახიობთან, მოცეკვავესთან, რესპონდენტთან მუშაობა)	4	

	III. პრაქტიკული ნამუშევრის თეორიულ ნაშრომთან არსებითი შესაბამისობა	5 ქულა	
	დაცვა – პრეზენტაცია	20 ქულა	
1	დისერტანტის გამოსვლის გამართულობა და პრეზენტაბელურობა	10	
2	კითხვებზე პასუხის გაცემის ლოგიკურობა, დასაბუთებულობა და აკადემიურობის დაცვა	10	
	ს უ ლ	100 ქულა	

თარიღი –

ხელმოწერა –